საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 1189

თბილისი „04“ 12 2012 წ.

ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე ექსტერნად რეგისტრაციის ვადების დადგენის და ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ჩატარების ვადების განსაზღვრის შესახებ

,,ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №18/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების" მე-7 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2012 წლის 22 ნოემბრის №67135 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2012 წლის 5 დეკემბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით.
2. ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდები ჩატარდეს 2012 წლის 24 დეკემბრიდან 2013 წლის 18 იანვრის ჩათვლით.
3. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციას (დეპარტამენტი) ამ ბრძანების გაცნობა საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

გიორგი მარგველაშვილი

შემსრულებელი:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი

_____ /ქეთევან კუკავა/

შეთანხმებულია:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან

_____ /დავით ლომინაშვილი/

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან

_____ /ლევან ქებურია/

მინისტრის მოადგილესთან

_____ /ალუდა გოგლიჩიძე/

ბრძანება გაეგზავნოს:

1. სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს.
2. ადმინისტრაციას (დეპარტამენტს).
3. მინისტრის მოადგილეს – ალუდა გოგლიჩიძეს.

04807